

AGREEMENT ON STATE PROCUREMENT OF ADVISORY SERVICES between Ministry of Labour, Health, and Social Affairs of Georgia and Global Alliance for Health and Social Compact	ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და Global Alliance for Health and Social Compact-ს შორის
Ministry of Labour, Health, and Social Affairs of Georgia, hereinafter referred to as the "Ministry", represented by Minister David Sergeenko, on the one hand	ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „სამინისტრო“, წარმოდგენილი მინისტრის - დავით სერგეენკოს მიერ,
and	და
Global Alliance for Health and Social Compact LTD, incorporated and registered in England and Wales with company number 9196046 whose registered office is at 22 Billet Street, Taunton, Somerset, TA13NG, England hereinafter referred to as the "GAHSC", represented by the authorized representative Dr. Jean-Elie Charles Malkin, (passport 14FV05965, issued on October 20, 2014, date of birth 18.12.1951, according to the Power of Attorney issued on March 25, 2015) on the other hand,	მორეს მხრივ, შპს „Global Alliance for Health and Social Compact“, რეგისტრირებული, როგორც კორპორაცია, ინგლისსა და უელსში, კომპანიის სარეგისტრაციო ნომრით 9196046, რომლის რეგისტრირებული მისამართია: ინგლისი, TA13NG, სომერსეტი, ტონტონი, ბილეტის ქ. №22. შემდგომში „GAHSC“, წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ჟან ელი ჩარლზ მალკინის (პასპორტის ნომერი 14FV05965, გაცემული 2014 წლის 20 ოქტომბერს, მინდობილობის თანახმად გაცემული 2015 წლის 25 მარტს) მიერ,
Fostering system-wide approach to health care management as a vital prerequisite for achieving better health outcomes, greater financial fairness and higher responsiveness of the national health system to legitimate needs of the population of Georgia,	ხელს შეუწყობენ რა, ჯანდაცვის მენეჯმენტისადმი სისტემურ მიდგომას, როგორც ჯანდაცვის უკეთესი გამოსავლების მეტი ფინანსური სამართლიანობისა და საქართველოს მოსახლეობის ლეგიტიმურ საჭიროებებზე ეროვნული ჯანდაცვის სისტემის უკეთესი რეაგირების მიღწევის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას,
Striving to improve the overall national health system performance efficiency as well as the effectiveness, with which resources are used in the Georgian health sector,	ისწრაფვიან რა, გააუმჯობესონ ეროვნული ჯანდაცვის სისტემის მუშაობის საერთო ეფექტიანობა, ისევე როგორც ხარჯთეფექტურობა რისთვისაც საქართველოს ჯანდაცვის სექტორში ხდება რესურსების გამოყენება,
Desiring to ensure the continued implementation of the Universal Health Care Program (UHCP) as part of the Government Program "For Strong, Democratic, United Georgia",	სურვილი აქვთ რა, უწყვეტად განახორციელონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, როგორც "ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" მოაწოდების პროგრამის ნაწილი,

Following up on the 2015 National Action Plan for the Implementation of the Association Agreement between Georgia and the European Union	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით,
Recognizing the key role of international cooperation and the Public-private partnership (PPP) as an instrument for attracting financial, technological, intellectual and manpower resources to support the health sector's development based on Georgian long-term vision for social and economic development of the country,	აღიარებენ რა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) საკვანძო როლს, როგორც ფინანსების, ტექნოლოგიების, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ინსტრუმენტს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ხედვის საფუძველზე, ჯანდაცვის სექტორის განვითარების მხარდასაჭერად,
Ministry, according to the Decree №360 of the Government of Georgia, of 5 March, 2015 "On the Implementation of the State Procurement of Consulting Services through Simplified Procurement" and the "d" sub-paragraph of the 3 rd Paragraph of the Article 10 ¹ of the Law of Georgia on "State Procurement", with the allotments allocated to the Ministry (program code 35 03 04 CPV code 79400000) intended for procurement of advisory services, has selected GAHSC, and GAHSC has accepted an offer, to perform as consultant to assist Ministry in structuring and implementation of the comprehensive set of synergetic activities towards health system performance improvement, national health care system further development, harmonization of national and EU regulations, enhancement of leadership, regulatory and intelligence capacity of the Ministry (hereafter referred to as the "Project") on the terms and conditions set out in this Agreement.	სამინისტრომ, „საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №360 განკარგულებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი, 35 03 04. CPV კოდი 79400000) საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით შეარჩია GAHSC და GAHSC-მა მიიღო შეთავაზება, რათა როგორც კონსულტანტი, კომპლექსური სინერგიული ღონისძიებების სტრუქტურირებითა და განხორციელებით დაეხმაროს სამინისტროს, ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების, ეროვნული ჯანდაცვის სისტემის შემდგომი განვითარების, ეროვნული და ევროკავშირის მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, სამინისტროს ხელმძღვანელობის, მარეგულირებელი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაძლიერების საქმეში (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "პროექტი") ხელშეკრულებაში მითითებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.
NOW, THEREFORE, Ministry and GAHSC (hereinafter sometimes together referred to as the "Parties" or singly as a "Party") agree as follows:	ამგვარად, სამინისტრო და GAHSC (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "მხარეები", ან სათითაოდ, როგორც "მხარე") თანხმდებიან შემდეგზე:
1. Services	1. მომსახურება
1.1. Ministry purchases from GAHSC and GAHSC agrees to perform consultancy services including preparing recommendations for the Ministry, Government, national and	1.1. სამინისტრო შეისყიდის GAHSC-ისგან ხოლო GAHSC თანახმაა, გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება, მათ შორის, მოამზადოს რეკომენდაციები სამინისტროსთვის.

international partners and partners of Ministry on priority issues (hereafter referred to as the "Project scope") defined in the annex 1 which constitutes an integral part of this Agreement as well as on other health-system issues (together with the Project scope hereafter referred to as the "Services") aimed to:	მთავრობისთვის, ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორებისთვის და სამინისტროს პარტნიორებისთვის, №1 დანართში განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებზე (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "პროექტის მოქმედების სფერო"), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ისევე, როგორც ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე („პროექტის მოქმედების სფეროსთან“ ერთობლივად შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მომსახურება“), რომელიც მიზნად ისახავს:
1.1.1. strengthen capacity of the Government, foremost of the Ministry of Labour, Health, and Social Affairs, to manage the national health policy regular review/update, its translation into actionable and result-based national programs as well as to implement monitoring and evaluation of their progress against objectively measurable and verifiable indicators;	1.1.1. გააძლიეროს მთავრობის, განსაკუთრებით კი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაძლებლობები, რათა შეძლოს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკის რეგულარული გადახედვა/განახლება, მისი გადატანა ქმედით და შედეგზე ორიენტირებულ ეროვნულ პროგრამებში, აგრეთვე განახორციელოს მათი პროგრესის მონიტორინგი და შეფასება ობიექტურად გაზომვადი და გადამოწმებადი ინდიკატორების საშუალებით;
1.1.2. introduce contemporary cost containment approaches to reduce overall economic burden of ill health and to eliminate irrational health expenditures, improve financing mechanisms through innovative approaches to revenue collection, fund pooling and strategic purchasing;	1.1.2. დაწერგოს დანახარჯთა შეკავების თანამედროვე მიდგომები, რათა შეამციროს ავადმყოფობის საერთო ეკონომიკური ტვირთი და აღმოფხვრას ჯანდაცვის არარაციონალური ხარჯები, გააუმჯობესოს დაფინანსების მექანიზმები შემოსავლების მობილიზების, ფინანსური გაერთიანებისა და სტრატეგიული შესყიდვების ინოვაციური მიდგომების მეშვეობით;
1.1.3. ensure transparent and fair distribution of government revenues and public savings alongside with reducing the out-of-pocket payments from households and fostering public-private partnerships to attract resources from international institutions, private sector and other sources;	1.1.3. უზრუნველყოს მთავრობის შემოსავლებისა და საზოგადოებრივი დანახარჯების გამჭვირვალე და სამართლიანი გადანაწილება შინამეურნეოებიდან „ჯიბიდან გადახდის“ შემცირების პარალელურად და ხელი შეუწყოს საჯარო-კერძო პარტნიორობას, საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, კერძო სექტორიდან და სხვა

	წყაროებიდან მოსაზიდად;	რესურსების
1.1.4. enhance health care accessibility, affordability and cost-effectiveness by reengineering integrated health care delivery system, investing into primary and emergency health care services, optimizing the Universal Healthcare Program with a primary goal to guarantee to all categories of population effective protection from life-threatening conditions and catastrophic expenditures;	1.1.4. გაზარდოს ჯანდაცვის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა და ხარჯთეფექტურობა, ჯანდაცვის ინტეგრირებული მიწოდების სისტემის მოდერნიზაციით, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაში ინვესტირებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ოპტიმიზაციით, უპირველესად - სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობებისგან და კატასტროფული დანახარჯებისგან ყველა კატეგორიის მოსახლეობის ეფექტიანი დაცვის მიზნით;	
1.1.5. reinforce regulatory role of the Government in ensuring quality and safety of health services, pharmaceuticals, medical devices and other medicinal products by harmonizing national and EU rules and regulations on medical and pharmaceutical practice, investing into capacity building and infrastructure development of regulatory authorities;	1.1.5. გააძლიეროს მთავრობის მარეგულირებელი როლი სამედიცინო მომსახურების, წამლების, სამედიცინო აპარატურის და სხვა სამკურნალო საშუალებების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის რეგულაციებისა და წესების ჰარმონიზებით, მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირებით;	
1.1.6. foster evidence-informed decision making by improving health and medical data collection and processing, integrating information technologies into all spheres of public health and health care management, bringing national public health and medical statistics up to the internationally recognized best practices;	1.1.6. ხელი შეუწყოს მტკიცებულებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ჯანმრთელობისა და სამედიცინო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გაუმჯობესებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის ყველა სფეროში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებითა და ეროვნული საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამედიცინო სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის დონემდე აყვანით;	
1.1.7. institute up to date approaches to health facility administration and management based on liberal principles	1.1.7. დააწესოს თანამედროვე მიდგომები ჯანდაცვის დაწესებულების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში,	

of the healthcare market development, rational price policy, clinical protocols and guidelines aligned with solvent demand and EU evidence-based requirements;	რომელიც ეფუძნება ჯანდაცვის ბაზრის განვითარების ლიბერალურ პრინციპებს, რაციონალური ფასების პოლიტიკას, კლინიკურ პროტოკოლებსა და გაიდლაინებს, რომლებიც შესაბამისობაშია გადახდისუნარიან მოთხოვნასთან და ევროკავშირის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მოთხოვნებთან;
1.1.8. support comprehensive and harmonious development of health personnel by introducing innovative educational approaches, promoting medical entrepreneurship with particular emphasis on nursing practice development, encouraging professional self-governance;	1.1.8. მხარი დაუჭიროს ჯანდაცვის პერსონალის სრულყოფილ და ჰარმონიულ განვითარებას ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვით, სამედიცინო ბიზნესის ხელშეწყობით, საექტონო საქმიანობაზე განსაკუთრებული აქცენტირებით, პროფესიული თვითმმართველობის წახალისებით;
1.1.9. mobilize stakeholder community and streamline activities of various health players, i.e. governmental institutions, donors, international organizations, private sector and civil society to achieve mutually established goals and objectives for health and health system improvement.	1.1.9. მოახდინოს დაინტერესებულ მხარეთა მობილიზება და ჯანდაცვის სხვადასხვა მხარეების, როგორცაა - სამთავრობო დაწესებულებების, დონორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის რაციონალიზაცია, რათა მიღწეულ იქნას ერთობლივად დასახული მიზნები და ამოცანები ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად.
1.2. The Services shall be performed by GAHSC through its own staff and external consultants specialized in various areas of expertise, hired by GAHSC after consultation with or, as the case may be, on request of Ministry as well as through local consultants, officials and other contributors to be mobilized by Ministry as national experts, leaders, key informants etc.	1.2. მომსახურებას ახორციელებს GAHSC საკუთარი თანამშრომლების და მოწვეული კონსულტანტების მეშვეობით, რომლებიც სპეციალიზებული არიან სხვადასხვა მიმართულებით და დაქირავებული არიან GAHSC-ის მიერ სამინისტროსთან კონსულტაციის, ან საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, აგრეთვე - ადგილობრივი კონსულტანტების, თანამდებობის პირთა და სამინისტროს მიერ მობილიზებული სხვა მონაწილეთა მეშვეობით, როგორც ადგილობრივი ექსპერტები, ლიდერები, ძირითადი ინფორმაციის წყაროები და ა. შ.
1.3. Ministry, not later than in two months after signing this agreement, shall make appropriate institutional arrangements for enhancing its capacity for strategic	1.3. სამინისტრომ, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 თვისა, უნდა მიიღოს შესაბამისი ინსტიტუციური ზომები, სტრატეგიული მენეჯმენტისა და

management and monitoring by designating and staffing relevant unit in the structure of the Ministry, which shall be appointed as the focal point for GAHSC, its staff and the GAHSC Hired Consultants with regard to all Project related activities.	მონიტორინგის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შესაბამისი ერთეულის დაკომპლექტებითა და ფუნქციების განსაზღვრით, რომელიც დაინიშნება საკონტაქტო ერთეულად GAHSC-ის, მისი თანამშრომლებისა და GAHSC-ის მიერ დაქირავებულ კონსულტანტებისთვის პროექტთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობასთან მიმართებაში.
1.4. In performing the Services hereunder, GAHSC will work closely with other consultants already retained and/or to be retained by Ministry in connection with the Project; provided, however, that GAHSC will act as lead advisor to carry out the Project.	1.4. შესაბამისი მომსახურების განხორციელებისას, GAHSC მჭიდროდ ითანამშრომლებს სამინისტროს მიერ პროექტთან დაკავშირებულ უკვე დაქირავებულ ან/და დასაქირავებელ სხვა კონსულტანტებთან, თუმცა, იმ პირობით, რომ GAHSC იმოქმედებს, როგორც წამყვანი მრჩეველი პროექტის განხორციელებისას.
1.5. Parties agreed to set up Project Management Board as a coordination and advisory body reporting to the GAHSC and Ministry top officials. The Project Management Board composition and rule of activities will be mutually determined by GAHSC and Ministry not later than in 15 working days after signing of this Agreement. Decisions and recommendations made by the Project Management Board shall be further confirmed by Parties through signing supplementary agreements constituting an integral part of this Agreement.	1.5. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შექმნიან პროექტის მართვის საბჭოს, როგორც GAHSC-ისა და სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან ანგარიშვალდებული საკოორდინაციო-საკონსულტაციო ორგანო. პროექტის მართვის საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ერთობლივად, GAHSC-ისა და სამინისტროს მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა. პროექტის მართვის საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ექვემდებარება მხარეების მიერ შემდგომ დამტკიცებას დამატებითი ხელშეკრულებების სახით, რომლებიც იქნებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
1.6. The Project Management Board will be responsible for making recommendations to the Ministry regarding:	1.6. პროექტის მართვის საბჭო პასუხისმგებელი იქნება სამინისტროსთვის რეკომენდაციების გაწევაზე შემდეგი მიმართულებით:
1.6.1. disaggregation of the Project scope into scheduled action plans of mutual actions;	1.6.1. პროექტის მოქმედების სფეროს ერთობლივი აქტივობების გაწერის სამოქმედო გეგმებად გარდაქმნა;
1.6.2. specification of requirements to products and follow up actions that shall be delivered according to the agreed action plans;	1.6.2. პროდუქტებზე მოთხოვნების და შემდგომი ღონისძიებების დეტალური აღწერა/სპეციფიკაცია, რომლებიც განხორციელდება შეთანხმებული სამოქმედო გეგმების შესაბამისად;
1.6.3. establishment and coordination of the specialized Task Groups to manage and	1.6.3. სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფების შექმნა და კოორდინაცია,

supervise for development of products and follow up actions envisaged by the action plans and to be composed of experts and specialist designated by Ministry and GAHSC;	პროდუქტების შექმნისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული შემდგომი აქტივობების მენეჯმენტისა და ზედამხედველობის მიზნით, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან სამინისტროსა და GAHSC-ის მიერ წარდგენილი ექსპერტებისა და სპეციალისტებისგან.
1.6.4. Validation of delivered products for acceptance against specified requirements.	1.6.4. მოწოდებული პროდუქტების სპეციფიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.
1.7. Ministry shall at all times provide to GAHSC in a timely manner any and all information available to Ministry, that may affect the performance of the Services, inform GAHSC of any developments relating to the Project, and direct any person that enquires about the Project to contact GAHSC through the GAHSC Representative. Furthermore Ministry shall support GAHSC in obtaining other information according to relevant legislation.	1.7. სამინისტრომ ყოველთვის უნდა უზრუნველყოს GAHSC-ისთვის მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის სრული ინფორმაციის დროული მიწოდება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომსახურების შესრულებაზე, ასევე აცნობოს GAHSC-ს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვლენის შესახებ და მიუთითოს პროექტით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, დაუკავშირდეს GAHSC-ს, მისი წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, სამინისტრო ხელს შეუწყობს GAHSC-ს მიიღოს სხვა ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
1.8. Ministry shall do all things necessary to enable GAHSC, its staff and the GAHSC hired consultants to carry out the Services hereunder, without limitation. Inter alia it shall:	1.8. სამინისტრომ უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა GAHSC-მა, მისმა თანამშრომლებმა და დაქირავებულმა კონსულტანტებმა შეძლონ შესაბამისი მომსახურების გაწევა, შეზღუდვის გარეშე, მათ შორის:
1.8.1. Support GAHSC, its staff and the GAHSC hired Consultants, according to the legislation and within the resources available to Ministry with organizational issues;	1.8.1. კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მის ხელთ არსებული საშუალებებით, ხელი შეუწყოს GAHSC-ს, მის პერსონალსა და დაქირავებულ კონსულტანტებს, შესაბამისი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;
1.8.2. promptly notify GAHSC of any proposed change in the nature or scope of the Project or the business or operations of Ministry and of any event or condition which has or could reasonably be expected to have a material effect on the performance of the Services.	1.8.2. დაუყოვნებლივ აცნობოს GAHSC-ს პროექტის ხასიათსა ან მოქმედების სფეროში, ან, სამინისტროს საქმიანობასა ან აქტივობებში შესატანი ნებისმიერი ცვლილების და ნებისმიერი შემთხვევის ან მდგომარეობის თაობაზე, რომელსაც აქვს ან, გონივრულად ივარაუდება, რომ შეიძლება ჰქონდეს, მატერიალური ზეგავლენა

2. Parties' Representatives and Notices	მომსახურების მიწოდებაზე. 2. მხარეთა წარმომადგენლები და შეტყობინებები
2.1. Parties shall select and appoint with relevant orders persons to act as Party representatives whose names and contact details shall be communicated between parties.	2.1. მხარეები, განსაზღვრავენ და შესაბამისი აქტებით დანიშნავენ პირებს, რომლებიც იქნებიან მხარეთა წარმომადგენლები და რომელთა ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია გაიცვლება მხარეებს შორის.
2.2. Ministry Representative shall be of relevant level of authority and responsibility to liaise with decision makers, carry out proper and efficient supervision and coordination of Project activities on behalf of Ministry, ensure mobilization of all necessary resources and involvement of any authority and third party according to the legal norms and make timely decisions to enable GAHSC to carry out its duties hereunder.	2.2. სამინისტროს წარმომადგენელი უნდა იყოს შესაბამისი თანამდებობრივი რანგისა და კომპეტენციის მქონე, რათა შეძლოს შესაბამისი კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიმღებებთან, განახორციელოს პროექტით განსაზღვრული აქტივობების სწორი და ეფექტიანი ზედამხედველობა და კოორდინაცია სამინისტროს სახელით, მოახდინოს ყველა საჭირო რესურსის მობილიზება და ნებისმიერი უფლებამოსილი პირისა და მესამე მხარის ჩართულობა კანონით დადგენილ ფარგლებში და მიიღოს დროული გადაწყვეტილებები, რათა GAHSC-ს საშუალება მიეცეს, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
2.3. Ministry Representative shall be fully authorized and empowered to act on behalf of Ministry on all matters under this Agreement:	2.3. სამინისტროს წარმომადგენელი სრულად უფლებამოსილი იქნება, იმოქმედოს სამინისტროს სახელით წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა საკითხზე:
2.3.1. all reports, recommendations and other communications of any kind given by GAHSC to Ministry Representative shall be deemed to have been duly given to Ministry hereunder;	2.3.1. ნებისმიერი ანგარიში, რეკომენდაცია და სხვა სახის კომუნიკაცია, რომელსაც GAHSC გადასცემს სამინისტროს წარმომადგენელს, ჩაითვლება სათანადო წესით სამინისტროსათვის გადაცემულად;
2.3.2. all instructions, approvals, waivers, consents, decisions and communications received by GAHSC from Ministry Representative shall be deemed to have been duly given or made by, and received from, Ministry hereunder.	2.3.2. ყველა ინსტრუქცია, მოწონება, უარი, თანხმობა, გადაწყვეტილება და სხვა ინფორმაცია, რომელსაც GAHSC მიიღებს სამინისტროს წარმომადგენლისგან, ჩაითვლება სათანადო წესით სამინისტროსგან გაცემულად, მომზადებულად ან მიღებულად.
2.4. GAHSC shall designate its representative (the "GAHSC Representative") with full power and authority to act on behalf of GAHSC on all matters under this Agreement and for all	2.4. GAHSC დანიშნავს თავის წარმომადგენელს („GAHSC-ის წარმომადგენელი“) სრული ძალაუფლებითა და უფლებამოსილებით, იმოქმედოს GAHSC-ის სახელით

purposes without limitation.	წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა საკითხზე და ყველა მიზეზით, შეუზღუდავად.
2.5. Any notice, request or other communication to be given or made under this Agreement shall be in writing and shall be deemed to have been duly given when delivered by hand, established courier or service, airmail or e-mail to the Party representative.	2.5. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა ინფორმაცია, რომელიც გაიცემა ან მომზადდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად, როდესაც მხარის წარმომადგენელს ჩაბარდება ხელით, ოფიციალური კურიერის ან საკურიერო მომსახურების, საჰაერო ფოსტისა ან ელ. ფოსტის საშუალებით.
2.6. Any information the Ministry is to provide to GAHSC should be in the format and language available to Ministry. Ministry has also right to request from GAHSC to provide certain documentation in Georgian language.	2.6. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც სამინისტრო მიაწვდის GAHSC-ს, უნდა იყოს სამინისტროსთვის ხელმისაწვდომ ფორმატსა და ენაზე. სამინისტროს, ასევე უფლება აქვს, მოთხოვოს GAHSC-ს გარკვეული დოკუმენტაციის ქართულ ენაზე მოწოდება.
3. Remuneration and Payments	3. ანაზღაურება და გადასახადები
3.1. Total price of the Agreement is 300 000 (three hundred thousand) US Dollars. This price includes applicable Withholding Tax in Georgia and does not includes indirect taxes effective in Georgia. Ministry shall remunerate GAHSC on quarterly basis with the fixed amount of 100 000 (one hundred thousand) US Dollars against fully fulfilled quarterly services according to the provisions of the paragraph 4 of this agreement. Payments rendered are considered fully earned and non refundable.	3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარს. აღნიშნული ფასი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადს, მაგრამ არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არაპირდაპირ გადასახადებს. სამინისტროს მიერ გადახდა განხორციელდება კვარტალური ანაზღაურების სახით ფიქსირებული 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების მოთხოვნათა შესაბამისად GAHSC-ის მიერ კვარტალურად შესასრულებელი სამუშაოს სრულად ჩაბარების შემდგომ. გადახდა ითვლება სრულად გამომუშავებულად და არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.
3.2. Payment is due on or before the 5th working day after qualifying as satisfactory by Ministry (by means of inspection commission) the products and services delivered during the quarter concerned regardless whether the qualification happened by signing the Acceptance Certificate as provided in paragraph 4 or by default as provided in the	3.2. გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მას შემდეგ, რაც შესაბამისი კვარტლის განმავლობაში მოწოდებული პროდუქტები და მომსახურება შეფასდება დამაკმაყოფილებლად სამინისტროს (ინსპექტირების კომისიის საშუალებით) მიერ, იმის მიუხედავად, ეს შეფასება

paragraph 4.4 of this Agreement.	განხორციელდება მე-4 მუხლიში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, თუ მის გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტში მოცემული პირობების თანახმად.
3.3. All payments to GAHSC hereunder shall be made to GAHSC when due in full, in United States Dollars, in immediately available funds, into designated GAHSC's bank account.	3.3. GAHSC-ისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ანაზღაურება უნდა განხორციელდეს სრულად, აშშ დოლარში, დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსებით, GAHSC-ის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4. Delivery acceptance rules	4. მიღება-ჩაბარების წესი
4.1. Ministry reserves exclusive authority for acceptance of products and services to be delivered by GAHSC in accordance with the Project Scope defined in the Annex 1 to this Agreement and detailed in supplementary agreements constituting an integral part of this Agreement. For this purpose, not later than in 15 working days after signing of this Agreement, Ministry may establish the inspection commission and communicate to GAHSC as provided for in the paragraph 2.5 of this Agreement. The members of inspection commission will be subject of the confidentiality clause and regulations of the Law of Georgia on "State Service Procurement" and other relevant legislation.	4.1. სამინისტროს აქვს განსაკუთრებული უფლება, მიიღოს/მოიწონოს GAHSC-ის მიერ მოწოდებული პროდუქტები და მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული პროექტის მოქმედების სფეროს თანახმად და ასევე, დეტალურად გაწერილი დამატებითი ხელშეკრულებებში, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამ მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, სამინისტროს შეუძლია დააარსოს ინსპექტირების კომისია და აცნობებს GAHSC-ს, წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. პუნქტის თანახმად. ინსპექტირების კომისიის წევრებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალურობა, და მათზე გავრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები.
4.2. Acceptance of products and services to be delivered by GAHSC shall be:	4.2. GAHSC-ის მიერ მოწოდებული პროდუქტებისა და მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება შემდეგნაირად:
4.2.1. On first stage, the Project Management Board shall assess the provided services and make respective recommendations within 8 working days;	4.2.1. პირველ ეტაპზე, პროექტის მართვის საბჭო შეაფასებს მოწოდებულ სამუშაოს და მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს 8 სამუშაო დღის განმავლობაში;
4.2.2. Afterwards provided services and recommendations of the Project Management Board will be delivered to the Ministry representative and within 8 working days after presenting the inspection commission will undertake	4.2.2. შემდგომ, შესრულებული სამუშაო და პროექტის მართვის საბჭოს რეკომენდაციები გადაეცემა სამინისტროს წარმომადგენელს და გადაცემიდან 8 სამუშაო დღის ვადაში ინსპექტირების კომისია

their assessment against specified requirements approved according to the paragraph 1.5 and 1.6 of this Agreement;	განახორციელებს მის შეფასებას წინამდებარე ხელშეკრულების 1.5 და 1.6 პუნქტით განსაზღვრული სპეციფიური მოთხოვნების შესაბამისად;
4.2.3. At the positive assessment of the inspection commission the acceptance of relevant services will be confirmed by the Acceptance Act to be signed by both Parties but not later than 2 working day.	4.2.3. ინსპექტირების კომისიის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში, შესაბამისი სამუშაოს მიღება დადასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
4.3. If Ministry does not accept services rendered by GAHSC it shall notify GAHSC representative in writing as provided for in paragraph 2 of this Agreement clearly stating the reasons for declining services delivered by GAHSC. If GAHSC agrees with Ministry's objections it shall provide to the Project Management Board in 5 working days after receiving the non-acceptance notification the plan of corrective measures.	4.3. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო არ მიიჩნევს GAHSC-ი მიერ გაწეულ მომსახურებას დამაკმაყოფილებლად, მან დასაბუთებული უარი წერილობით უნდა მიაწოდოს GAHSC-ის წარმომადგენელს. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირობების თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ GAHSC-ი დაეთანხმება სამინისტროს შენიშვნებს, მან, ჩაბარებაზე უარის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიაწოდოს პროექტის მართვის საბჭოს თავისი გეგმა გამოსწორების ღონისძიებების შესახებ.
4.4. If Ministry fails with producing Acceptance Act or Non-acceptance notification as provided for in paragraph 4.2.3 of this Agreement, the services delivered by GAHSC shall be qualified as satisfactory by default.	4.4. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო ვერ შეძლებს ხელშეკრულების 4.2.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემას ან ჩაბარებაზე უარის თაობაზე შეტყობინების გაცემას, GAHSC-ის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად
5. Duration and Termination of Agreement	5. ხელშეკრულების ხანგრძლივობა და შეწყვეტა
5.1. This Agreement shall be effective on the date of its signature, and shall remain in full force and effect through 20 February 2016. Furthermore the deadline for the providing services is not later than 31 December 2015.	5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 20 თებერვლამდე. ამასთან, მომსახურების გაწევის ბოლო ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.
5.2. Ministry may terminate this Agreement in case of the occurrence of any of the following circumstances:	5.2. სამინისტროს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების დადგომის შემთხვევაში:
5.2.1. if GAHSC does not/improper fulfill its obligations under the Agreement, within thirty (30) days after being notified;	5.2.1. თუ GAHSC-ი არ შეასრულებს /არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, შეტყობინების

	მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში;
5.2.2. if GAHSC becomes insolvent or bankrupt;	5.2.2. თუ GAHSC-ი გახდება გადახდისუუნარო ან გაკოტრდება;
5.2.3. if Ministry has sufficient proof that Company has engaged in corrupt or fraudulent practices while executing the Agreement;	5.2.3. თუ სამინისტროს ექნება საკმარისი დამადასტურებელი ფაქტები, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კომპანიის მიერ კორუფციულ ან თაღლითურ გარიგებებში მონაწილეობის თაობაზე;
5.2.4. if as the result of Force Majeure, GAHSC is unable to perform a material portion of the Services for a period of not less than thirty (30) days;	5.2.4. თუ, ფორს მაჟორის შემთხვევაში, GAHSC-ი ვერ შესძლებს მომსახურების მატერიალური ნაწილის შესრულებას არანაკლებ ოცდაათი (30) დღის განმავლობაში;
5.2.5. In other cases provided by the legislation of Georgia.	5.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5.3. GAHSC may terminate this Agreement, by not less than thirty (30) days' written notice to the Ministry, such notice to be prepared after the occurrence of any of the circumstances specified in this:	5.3. GAHSC-ს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, სამინისტროსთვის არანაკლებ ოცდაათი (30) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ასეთი შეტყობინება მომზადდება ამ პუნქტში განსაზღვრული ერთ-ერთი გარემოების დადგომის შემთხვევაში:
5.3.1. If Ministry fails to pay GAHSC any amount of money set forth in this Agreement and this cannot be settled between the parties in accordance with the Article 13 within thirty (30) days after receiving written notification from GAHSC that such payment is overdue, unless such non-payment is caused by breaching of the Agreement conditions from GAHSC;	5.3.1. თუ სამინისტრო ვერ შესძლებს GAHSC-ს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი თანხა და ეს ვერ მოგვარდება მხარეებს შორის მე-13 მუხლის შესაბამისად, GAHSC-სგან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, რომ გადახდა ვადაგადაცილებულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუხდელობა გამოწვეულია GAHSC-ის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევით;
5.3.2. If, as the result of Force Majeure, GAHSC is unable to perform a material portion of the Services for a period of not less than thirty (30) days;	5.3.2. თუ, ფორს მაჟორის შემთხვევაში, GAHSC-ი ვერ შესძლებს მომსახურების მატერიალური ნაწილის შესრულებას არანაკლებ ოცდაათი (30) დღის განმავლობაში;
5.3.3. In other cases provided by the legislation of Georgia.	5.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5.4. Parties agree, that after the completion of the	5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე

present Agreement they may by mutual agreement prolong the cooperation and conclude further agreements regarding the issues described in paragraph 1 of the present Agreement, according to Georgian legislation in force.	ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, მათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ გააგრძელონ თანამშრომლობა და დადონ ახალი შეთანხმებები წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მოხსენიებულ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. Impact Measurement.	6. ზემოქმედების შეფასება
6.1. Ministry acknowledges that, Project impact assessment is of high interest to GAHSC, which GAHSC will undertake in accordance with it's internal procedures. To ensure the effectiveness of such assessment, Ministry agrees that, at the commencement of the Agreement it will provide to GAHSC access to the relevant information according to the legal norms.	6.1. სამინისტრო აცნობიერებს, რომ GAHSC-ის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პროექტის შედეგების შეფასება, რასაც GAHSC ახორციელებს თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად. ასეთი შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრო თანხმდება, რომ ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც უზრუნველყოფს GAHSC-ს, შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობით კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. Standards of GAHSC Performance	7. GAHSC-ის მუშაობის სტანდარტები
7.1. GAHSC shall carry out the Services with due diligence and in a professional manner, and with due regard to applicable laws and regulations. In performing the Services, GAHSC will act as a faithful advisor to Ministry and, where applicable and in so far as third parties are concerned act fairly between Ministry and third parties.	7.1. GAHSC-მა უნდა განახორციელოს მომსახურება გულდასმით და პროფესიონალურად და მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების სათანადო დაცვით. მომსახურების მიწოდებისას, GAHSC-მა უნდა იმოქმედოს, როგორც სამინისტროს ერთგულმა მრჩეველმა და საჭიროების შემთხვევაში, როდესაც მესამე მხარე დაინტერესებულია, იმოქმედოს სამართლიანად, სამინისტროსა და მესამე მხარეს შორის.
7.2. GAHSC shall, in performing the Services, comply with the relevant laws and regulations of Georgia and those of any jurisdiction in which any part of the Services is performed, or caused to be performed, by GAHSC. Accordingly, GAHSC shall have no liability for non-performance of any Services to the extent that any such performance would result in the breach of those laws and regulations.	7.2. GAHSC-ი, მომსახურების გაწევისას, უნდა დაემორჩილოს საქართველოში მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს და ასევე იმ იურისდიქციას, რომელშიც მომსახურების რომელიმე ნაწილი ხორციელდება, ან უნდა შესრულდეს GAHSC-ის მიერ. შესაბამისად, GAHSC-ს არ ექნება პასუხისმგებლობა ნებისმიერი მომსახურების შეუსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი შესრულება იწვევს ამ კანონების ან რეგულაციების დარღვევას.
7.3. Ministry hereby duly notes and agrees that, in	7.3. სამინისტრო აქვე შენიშნავს და თანხმდება,

performing the Services, GAHSC may rely, and its analyses and recommendations will be based on, information provided to GAHSC by Ministry.	რომ მომსახურების მიწოდებისას, GAHSC, შესაძლოა, დაეყრდნოს და მისი ანალიზი და რეკომენდაციები დაეყრდნობა სამინისტროს მიერ GAHSC-ისთვის მიწოდებულ ინფორმაციას.
8. Intellectual property	8. ინტელექტუალური საკუთრება
8.1. Ministry shall grant the right to GAHSC to use any materials, documentation and any other intellectual property items owned by Ministry and transferred by the latter to GAHSC within the framework of this Agreement for the validity period of this Agreement solely for the purpose of rendering services under this Agreement and for the benefit of Ministry. Upon completion of services provision hereunder, GAHSC undertakes to terminate all and any usage of Ministry's intellectual property. Any further usage by GAHSC of Ministry's intellectual property after termination of services provision under this Agreement shall be deemed as violation of Ministry's intellectual property rights.	8.1. სამინისტრო უფლებას აძლევს GAHSC-ს გამოიყენოს ნებისმიერი მასალა, დოკუმენტაცია და ნებისმიერი სხვა ინტელექტუალური საკუთრება, რომელსაც ფლობს სამინისტრო და გადაცემულია ამ უკანასკნელის მიერ GAHSC-ისთვის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხოლოდდამხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების მიზნით, სამინისტროს საკეთილდღეოდ. მომსახურების მიწოდების დასრულების შემდეგ, GAHSC შეწყვეტს სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ გამოყენებას. GAHSC-ის მიერ სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ი გამოყენება ხელშეკრულების დასრულების შემდგომ, ჩაითვლება სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევად.
8.2. All reports, analyses, memoranda and documents prepared by, or with the assistance of GAHSC (hereinafter – Documents) may be distributed by Ministry as needed among its employees and consultants but may not be distributed to third parties without the written consent of GAHSC, except that any information, memoranda, prospectus or other documents intended for distribution to potential investors may only be released after it shall have been accepted by Ministry as its own, and then only on condition that each copy so released contains the customary notices and disclaimers mutually agreed by the parties..	8.2. GAHSC-ის მიერ მომზადებული ან მისი დახმარებით შექმნილი ყველა ანგარიში, ანალიზი, მემორანდუმი და დოკუმენტი, სამინისტროს შეუძლია საჭიროებისამებრ გაავრცელოს თავის თანამშრომლებსა და კონსულტანტებს შორის, მაგრამ არ უნდა გადაეცეს მესამე მხარეს GAHSC-ის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე ინფორმაცია, მემორანდუმი, პროსპექტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გამიზნული იყო პოტენციურ ინვესტორებში გასავრცელებლად, სანამ სამინისტრო არ მიიღებს მათ, როგორც თავის საკუთარს და მაშინაც მხოლოდ იმ პირობით, რომ თითოეული ასლი შეიცავს მხარეთა მიერ შეთანხმებულ შეტყობინებებსა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის განცხადებს.
8.3. Ministry agrees not to make or publish any statement or advertisement which would	8.3. სამინისტრო თანახმაა, არ გააკეთოს ან გამოაქვეყნოს ნებისმიერი ისეთი განცხადება

reasonably be expected to be construed to demean the image, value, identity, reputation or goodwill associated with GAHSC.	ან რეკლამა, რომელიც გონივრულად ივარაუდება, რომ დააკნინებს GAHSC-თან ასოცირებულ იმიჯს, ფასეულობა, იდენტურობას, რეპუტაციას ან კეთილ ნებას.
9. Confidentiality	9. კონფიდენციალურობა
9.1. Neither Party shall, without the prior written consent of the other Party, disclose or use any information (including, without limitation, the terms of this Agreement and the discussions related hereto) or data whether such information or data is oral, written, recorded, electronic or otherwise and which is disclosed or otherwise comes into its possession directly or indirectly as a result of this Agreement and which is of a confidential nature including, without limitation, research, developmental, engineering, manufacturing, technical, marketing, sales, financial, operating, performance, cost, business and process information or data, know-how, and computer programming and other software and software techniques, whether or not the specific words "confidential" or "proprietary" are used ("Confidential Information") except as is strictly necessary to perform its obligations or exercise its rights hereunder; provided, however, that this obligation shall not apply to information:	9.1. არც ერთი მხარე, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ გაამჟღავნებს ან არ გამოიყენებს ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებსა და მასთან დაკავშირებულ დისკუსიებს) ან მონაცემებს, მიუხედავად იმისა, ეს მონაცემები ზეპირია, წერილობითი, ჩაწერილი, ელექტრონული თუ სხვაგვარი და რომელიც, ცნობილი გახდა, ან სხვაგვარად იქნა მოპოვებული პირდაპირი ან ირიბი გზით წინამდებარე ხელშეკრულების შედეგად და რომელიც კონფიდენციალური ხასიათისაა, და მათ შორის, შეზღუდვის გარეშე მოიცავს, კვლევას, განვითარების, საინჟინრო, საწარმოო, ტექნიკურ, მარკეტინგის, გაყიდვების, ფინანსური, ოპერაციული, შესრულების, ღირებულებითი, ბიზნესისა და საპროცესო ინფორმაციას ან მონაცემებს, „ნოუ-ჰაუ“-ს, და კომპიუტერულ პროგრამირებასა და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფასა და მის მეთოდებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოყენებული კონკრეტული სიტყვა "კონფიდენციალური" ან "საკუთრება" ("კონფიდენციალური ინფორმაცია"), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მკაცრად აუცილებელია, შეასრულოს თავისი ვალდებულებები და განახორციელოს თავისი უფლებები; იმ პირობით, რომ ეს ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგი სახის ინფორმაციაზე:
9.1.1. which the receiving Party can prove through written documentation was already in its possession at the date it was received or obtained from the other Party; or	9.1.1. რომელიც მიმღებ მხარეს შეუძლია წერილობითი დოკუმენტაციით დაადასტუროს, რომ უკვე მისი საკუთრება იყო იმ თარიღისთვის, როდესაც ის მიღებულ იქნა მეორე მხარისგან; ან
9.1.2. which the receiving Party obtains free from any confidentiality restriction and from some other Person with good	9.1.2. რომელსაც მიმღები მხარე მოიპოვებს, ყოველგვარი კონფიდენციალურობის შეზღუდვის გარეშე, რომელიმე სხვა

legal entitlement thereto; or	პირისგან საკმარისი სამართლებრივი საფუძვლით; ან
9.1.3. which comes into the public domain other than through the negligence of the receiving Party; or	9.1.3. რომელიც ხდება საჯარო, მიმღები მხარის დაუდევრობისგან დამოუკიდებლად; ან
9.1.4. which is independently developed by or for the receiving Party as evidenced by the written records thereof.	9.1.4. რომელიც დამოუკიდებლად შეიქმნა მიმღები მხარისთვის ან მის მიერ, რაც აშკარაა არსებული წერილობითი ჩანაწერებით.
9.2. Neither Party shall be in breach of this Agreement for the disclosure of Confidential Information in connection with an order from a court of competent jurisdiction or to a duly empowered governmental body provided the disclosing Party seeks confidential treatment of the Confidential Information disclose, also, in cases when such information should become publicly available according to the statutory requirements.	9.2. არც ერთი მხარე არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დამრღვევ მხარედ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე, თუ ეს გამჟღავნება უკავშირდება კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლოს უწყებას, ან მოთხოვნილია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, იმ პირობით, რომ ინფორმაციის გამცემი მხარე ითხოვს კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურ მოპყრობას. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია ექვემდებარება გასაჯაროებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. Each Party shall guard and protect the Confidential Information of the other with the same degree of care uses to protect its own Confidential Information, but in no event less than reasonably prudent care. Each Party may disclose Confidential Information to its duly representatives, subcontractors, employees who have a need to know for the performance of this Agreement and who have been informed of the obligations of confidentiality herein, and each Party shall ensure that its representatives, subcontractors, employees comply with such Provisions.	9.3. თითოეული მხარე ისევე უნდა იცავდეს მეორე მხარის კონფიდენციალურ ინფორმაციას, როგორც თავის საკუთარს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არანაკლებ გონივრულად მოფრთხილებისა. თითოეულ მხარეს შეუძლია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება თავისი წარმომადგენლებისთვის, ქვე-კონტრაქტორებისათვის, თანამშრომლებისთვის, რომელთაც უნდა იცოდნენ ის ამ ხელშეკრულების მოქმედების უზრუნველსაყოფად და რომლებიც ინფორმირებული არიან კონფიდენციალურობის ვალდებულებაზე და თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წარმომადგენლები, ქვე-კონტრაქტორები, თანამშრომლები ემორჩილებიან ამ პირობებს.
10. Good faith	10. კეთილსინდისიერება
10.1. The Parties undertake to act in good faith with respect to each other's rights under this Agreement and to adopt all reasonable	10.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, იმოქმედონ კეთილსინდისიერად ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით

measures to ensure the realization of the objectives of this Agreement.	წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მიიღონ ყველა გონივრული ზომა ხელშეკრულების მიზნების განსახორციელებლად.
11. Force Majeure	11. ფორს მაჟორი
11.1. The Parties shall be relieved of liability for a full or partial failure to perform their respective obligations under this Agreement if such failure was a result of insurmountable circumstances, such as fires, floods, earthquakes, natural calamities, , all of which are beyond the Parties' reasonable control, and also hostilities, and military activities directly affecting performance hereunder; provided, however, that a Party relying on force majeure:	11.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლებიან წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში თავიანთი ვალდებულებისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო გადაულახავი გარემოებით, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სტიქიური უბედურება, ასევე საომარი და სამხედრო ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ აფერხებს ამ ხელშეკრულების შესრულებას; იმ პირობით, რომ მხარემ, რომელიც ფორს მაჟორულ მდგომარეობაშია:
11.1.1. has notified the other Party forthwith of the onset of such circumstances; and	11.1.1. გააფრთხილა მეორე მხარე აღნიშნული გარემოებების წარმოშობისთანავე; და
11.1.2. has used its best efforts to deal with or prevent the consequences of such force majeure circumstances and, if applicable, to resume performance of its obligations under this Agreement.	11.1.2. მაქსიმალურად შეეცადა გამკლავებოდა ან თავიდან აერიდებინა ფორს მაჟორული გარემოებების შედეგები და შესაძლებლობის შემთხვევაში, გაეგრძელებინა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების აღსრულება.
12. Reports and Documents; Use of GAHSC Name, Trademark, or Logo	12. ანგარიშგება და დოკუმენტაცია; GAHSC-ის სახელწოდების, სავაჭრო ნიშნის, ან ლოგოს გამოყენება
12.1. All reports, analyses, memoranda and documents prepared by, or with the assistance of, GAHSC may be distributed by Ministry as needed among its employees and consultants but may not be distributed to third parties without the written consent of GAHSC, until after it shall have been accepted by Ministry as its own, and then only on condition that each copy so released contains the customary notices and disclaimers mutually agreed by the parties.	12.1. სამინისტროს შეუძლია, საჭიროებისამებრ, მის თანამშრომლებსა და კონსულტანტებს შორის გაავრცელოს ნებისმიერი ანგარიში, ანალიზი, მემორანდუმი და დოკუმენტაცია, რაც მომზადებულია GAHSC-ის მიერ ან მისი დახმარებით, მაგრამ არ შეუძლია, გადასცეს მესამე მხარეს, GAHSC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, სანამ სამინისტრო არ მიიღებს მათ, როგორც თავის საკუთარს და მაშინაც მხოლოდ იმ პირობით, რომ თითოეული ასლი შეიცავს მხარეთა მიერ შეთანხმებულ შეტყობინებებსა

	და პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადს.
12.2. Ministry agrees not to use, GAHSC's name, trademark or logo ("Mark") in any advertisements, promotional literature or information, signage, marketing materials, brochures, press releases or any other similar public materials in any medium whatsoever, without the prior written consent of GAHSC in each instance. Such permission may be given or denied, or withdrawn after having been initially given, in GAHSC's sole discretion.	12.2. სამინისტრო თანხმდება, რომ არ გამოიყენებს, GAHSC-ის სახელს, სავაჭრო ნიშანს ან ლოგოს („ნიშანი“) ნებისმიერ რეკლამაში, პოპულარულ ლიტერატურასა თუ ინფორმაციაში, აბრაში, მარკეტინგულ მასალებში, ბროშურებში, პრეს რელიზებში ან სხვა მსგავს საჯარო მასალებში, ნებისმიერ ფორმატში, თითოეულ შემთხვევაში GAHSC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამგვარი უფლება შეიძლება იქნას გაცემული ან უარყოფილი, ან თავდაპირველად გაცემული და შემდგომში გამოხმობილი, GAHSC-ის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.
12.3. Ministry agrees not to use or refer to the Mark in any manner that is misleading or reflects unfavorably upon the reputation of GAHSC, or in any manner that is contrary to any applicable law, rule or regulation.	12.3. სამინისტრო თანხმდება, რომ არ გამოიყენებს სავაჭრო ნიშანს ნებისმიერი იმ ფორმით, რაც შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებას ან უარყოფითად აისახება GAHSC-ის რეპუტაციაზე, ან ნებისმიერი სხვა ფორმით ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, წესებს ან რეგულაციებს.
12.4. Ministry agrees not to make or publish any statement or advertisement which would reasonably be expected to be construed to demean the image, value, identity, reputation or goodwill associated with GAHSC.	12.4. სამინისტრო თანხმდება, არ გააკეთოს ან გამოაქვეყნოს ნებისმიერი განცხადება ან რეკლამა, რომელიც გონივრულად ივარაუდება, რომ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც GAHSC-ის იმიჯის, ფასეულობების, იდენტურობის, რეპუტაციის ან კეთილი ნების შემლახველი.
12.5. Ministry agrees that it shall not represent, or permit the representation of, GAHSC's views without the prior written consent of GAHSC. Without limiting the foregoing, Ministry agrees it does not acquire any ownership interest, or any other rights (by implication, estoppel or otherwise) in whole or in part, in the Mark or any GAHSC data or any confidential information by virtue of receiving the Services or using the Mark in accordance with the terms and conditions of this Agreement. Ministry acknowledges GAHSC's exclusive right, title and interest in and to the Mark, GAHSC data and any confidential information and will not, at any time, do or cause to be done any act or thing	12.5. სამინისტრო თანხმდება, რომ არ გაამჟღავნებს და არ მისცემს უფლებას, გამჟღავნდეს GAHSC-ის შეხედულებები. GAHSC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. სამინისტრო თანხმდება, რომ არ იქნება საკუთრების უფლებით, ან რამე სხვა უფლების სრულად ან ნაწილობრივი მოპოვებით (იმპლიკაციით, ესტოპელით ან სხვაგვარად) დაინტერესებული, სავაჭრო ნიშნის, ან GAHSC-ის რაიმე მონაცემის ან რაიმე კონფიდენციალური ინფორმაციის მიმართ, მომსახურების მიღების ან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სავაჭრო ნიშნის გამოყენების შემთხვევაში. სამინისტრო აღიარებს GAHSC-ის

contesting or tending to impair any part of such rights, title and interests, and any report, opinion or document contributed by GAHSC to the Project Website remains the sole property of GAHSC. The sole right granted to Ministry under this Section 12 is to use the Mark solely as permitted hereunder and in connection with this Agreement and for no other purpose whatsoever. All goodwill that arises from the use of the Mark by Ministry shall inure to the sole benefit of GAHSC. GAHSC reserves the right to use the Mark in the manner it has done prior to this Agreement and in any other lawful manner.	ექსკლუზიურ უფლებას სავაჭრო ნიშანზე, GAHSC-ის მონაცემებისა და ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის მიმართ და არასდროს ჩაიდენს ან გამოიწვევს ისეთ ქმედებას, რაც შელახავს ნებისმიერ ასეთ უფლებას და ინტერესს და ნებისმიერი ანგარიში, მოსაზრება ან დოკუმენტი, რომელსაც GAHSC მიაწვდის პროექტის ვებ-გვერდზე, დარჩება GAHSC-ის ერთპიროვნულ საკუთრებაში. სამინისტროს ენიჭება ერთადერთი უფლება, წინამდებარე მე-12 მუხლის შესაბამისად, გამოიყენოს სავაჭრო ნიშანი მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და არავითარი სხვა მიზნით. სამინისტროს მიერ ლოგოს გამოყენებით წარმოქმნილი ნებისმიერი კეთილგანწყობა გამოიყენება მხოლოდ GAHSC-ის საკუთრებად. GAHSC იტოვებს უფლებას, გამოიყენოს სავაჭრო ნიშანი, როგორც ამას აკეთებდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე და ნებისმიერი სხვა კანონიერი ფორმით.
13. Settlement of disputes	13. დავების მოგვარება
13.1. The Parties agree that the avoidance or early resolution of disputes is crucial for a smooth execution of the Agreement and the success of the assignment. The Parties shall use their best efforts to settle amicably all disputes arising out of or in connection with this Agreement or its interpretation.	13.1. მხარეები თანხმდებიან, რომ დავების თავიდან არიდება ან ადრეული მოგვარება უმნიშვნელოვანესია ხელშეკრულების შეუფერხებლად შესრულებისა და დავების წარმატებისთვის. მხარეებმა უნდა მიმართონ ყველა შესაძლო ზომას, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავის მოლაპარაკებების გზით მოგვარებისთვის.
13.2. Any dispute between the Parties, as to matters arising pursuant to this Agreement that cannot be settled amicably within fourteen (14) days after receipt by one Party of the other Party's request for such amicable settlement, shall be submitted to the courts of general jurisdiction of Georgia to settle the difference.	13.2. მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელიც ვერ მოგვარდება მოლაპარაკებების გზით, ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისგან დავის მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტის თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში, განიხილება საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მიერ.
14. Governing law	14. მოქმედი სამართალი

14.1. This Agreement shall be governed by the law of Georgia.	14.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.2. In the event of breach of any provisions of this Agreement, the Parties shall be liable to each other in accordance with Georgian law.	14.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელნი იქნებიან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15. Non-fulfillment of contractual obligations	15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
15.1. If a Party fails to comply with the time-limits stipulated in the present Agreement it shall be obliged to pay the other Party a fine equal to 0,01 % of the value of the present Agreement per each delayed day,	15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით.
15.2. Payment of the fines shall not make the Parties free from fulfilling their main contractual obligations.	15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. If the cumulative amount of fines exceeds 2% of the value of the present Agreement, the opposite Party shall have the right to terminate the present Agreement.	15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.
16. Effective (Commencement) Date	16. ძალაში შესვლის თარიღი
16.1. This Agreement becomes effective upon its signing by the Parties.	16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.
17. Amendments	17. ცვლილებები
17.1. Any amendment or waiver of, or any consent given under, any provision of this Agreement shall be in writing and, in the case of an amendment, shall be signed by the Parties.	17.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, მასთან დაკავშირებულ უფლებაზე უარის თქმა, თუ თანხმობა უნდა გაფორმდეს წერილობით და ცვლილების შემთხვევაში, ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის მიერ.
18. Saving of Rights	18. უფლებების შენარჩუნება
18.1. No course of dealing and no failure or delay by either of the Parties in exercising any	18.1. რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული

power, remedy, discretion, authority or other right under this Agreement shall impair, or be construed to be a waiver of or an acquiescence in, that or any other power, remedy, discretion, authority or right under this Agreement, or in any manner preclude its additional or future exercise.	ნებისმიერი უფლებამოსილების, გამოყენებლობა ან მისი შეუსრულებლობა ან დაგვიანებული შესრულება, არ ზღუდავს მხარის უფლებას, ან არ იგულისხმება, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი ან უსიტყვო თანხმობა, მისი ნებისმიერი სხვა საშუალების, შეხედულების, უფლებამოსილების, ან სხვა უფლების გამოყენებისას წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, ან მისი დამატებითი და მომავალი გამოყენებისას.
19. Entire Agreement and Counterparts	19. მთლიანი ხელშეკრულება და ეგზემპლარები
19.1. This Agreement, together with all its Annexes, constitutes the entire agreement between the Parties and supersedes any and all prior agreements, understandings and arrangements, oral or written, between the Parties with respect to the subject matter hereof. If any term of this Agreement shall be held to be invalid, illegal or unenforceable, the validity of all other terms hereof shall in no way be affected thereby, and this Agreement shall be construed and be enforceable as if such invalid, illegal or unenforceable term had not been included herein.	19.1. წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით, წარმოადგენს ერთ მთლიან ხელშეკრულებას მხარეებს შორის და ანაცვლებს ყველა წინარე შეთანხმებასა და გარიგებას, ზეპირს თუ წერილობითს. რომელიც მხარეებს შორის არსებობდა ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა, უკანონობა ან განუხორციელებლობა არ მოახდენს გავლენას ხელშეკრულების სხვა დებულებებზე, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულება გაგებულ და აღსრულებულ უნდა იქნას იმდაგვარად, თითქოს მასში არ ყოფილიყოს ასეთი ბათილი, უკანონო თუ განუხორციელებელი დებულებები.
19.2. This Agreement is executed in two counterparts, each of which is an original, but all of which constitute the same agreement.	19.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს, მაგრამ ერთობლივად, ორივე ეგზემპლარი წარმოადგენს ერთი და იგივე ხელშეკრულებას.
19.3. This Agreement has been drawn up in the English and Georgian languages. In case of discrepancies between the English text version of this Agreement and any translation, the English version shall prevail.	19.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. წინამდებარე ხელშეკრულების ინგლისურენოვან ტექსტთან სხვა ნებისმიერი თარგმანის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ინგლისურენოვან ვერსიას.
IN WITNESS WHEREOF, the Parties have caused this Agreement to be signed in their respective names.	ყოველივეს გათვალისწინებით, მხარეები, შესაბამისი პირების საშუალებით, ხელმოწერით ვადასტურებთ ხელშეკრულების გაფორმებას:

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
Identification # 211333957 144 Ak. Tsereteli Ave, Tbilisi, 0119, Georgia State Treasury Code TRESGE22 ACC: 200122900	საიდენტიფიკაციო კოდი #211333957 ქ. თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი #144 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა 200122900
By: ხელმომწერი: _____	
Name: Mr. David Sergeenko	სახელი: დავით სერგეენკო
Title: Minister	თანამდებობა: მინისტრი
Date: თარიღი: 06.04.2015	
GLOBAL ALLIANCE FOR HEALTH AND SOCIAL COMPACT	„Global Alliance for Health and Social Compact“
Company registration number 9196046 22 Billet Street, Taunton, Somerset, TA13N. Beneficiary: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. Acc. Number: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) Beneficiary Bank: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW Intermediary Bank: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X Receiver's Correspondent Bank: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33	კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 9196046 ინგლისი, TA13NG, სომერსეტი, ტონტონი. ბილეთის ქ. №22 მომღები: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. ანგარიში ნომერი: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) მომღები ბანკი: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW შუამავალი ბანკი: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X მიმღების საკორესპონდენტო ბანკი: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33
By: ხელმომწერი: _____	
Name: Dr. Jean Elie Charles Malkin	სახელი: ჟან ელი ჩარლზ მალკინი
Title: Authorized Representative	თანამდებობა: უფლებამოსილი წარმომადგენელი
Date: თარიღი: 06.04.2015	

Annex 1 To the Agreement of State Procurement of Advisory Services between Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia and Global Alliance for Health and Social Compact, dated 07 April 2015	დანართი #1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და Global Alliance for Health and Social Compact-ს შორის დადებული საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 07 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაზე
The Project Scope	პროექტის მოქმედების სფერო

1.	To strengthen the role of national health programs through increasing state's, private sector's, population's and international organizations' involvement.	ჯანდაცვის ეროვნული პროგრამების როლის გაძლიერება მასში სახელმწიფო, კერძო სექტორის, მოსახლეობის და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდის გზით
1.1.	Elaboration of methods for containment Universal Health Care State Program's (UHC program) and other state health programs' expenses, elaboration of pay for performance and its implementation plan	საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებისთვის ხარჯების შეკავების, შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების მეთოდების (Pay for performance) და მათი დანერგვის გეგმის შემუშავება
1.2.	Creation of mechanisms for efficient implementation of UHC program and other state healthcare programs and relevant normative framework	საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების ეფექტური განხორციელების (მ.შ. მონიტორინგის) მექანიზმების და შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა
1.3.	Elaboration of countable indicators' system for assessment of the UHC program and other state healthcare programs	საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებისთვის შეფასების თვლადი ინდიკატორების სისტემის შემუშავება
1.4.	Elaboration of Diagnosis-related groups (DRG) and/or introductory plan for alternative system of medical service reimbursement	დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) და/ან სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ალტერნატიული სისტემის შემუშავების და დანერგვის გეგმის შექმნა.
2.	Elaboration of such strategic health programs, which will ensure harmonization of national plans with the same EU programs	ჯანდაცვის ისეთი სტრატეგიული პროგრამების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული გეგმების ჰარმონიზაციას ევროკავშირის ანალოგიურ პროგრამებთან
2.1.	Elaboration of strategic plan for Georgian healthcare system state concept implementation	საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის განხორციელების სტრატეგიული გეგმის შემუშავება
2.2.	Elaboration of primary health care system's development strategy and its implementation plan	პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიის და მისი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება

2.3.	Elaboration of development strategy of health system (including pharmaceutical field) regulation mechanisms and its implementation plan	ჯანდაცვის სისტემის (მ. შ. ფარმაცევტული სფეროს) რეგულირების მექანიზმების განვითარების სტრატეგიის და მისი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება
2.4.	Elaboration of human resource development strategy for healthcare and its implementation plan	ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის და მისი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება
2.5.	Elaboration of health system quality improvement strategy and its implementation plan (including elaboration of indicators of quality assessment of health system and medical facilities)	ჯანდაცვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის და მისი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება (მ. შ. ჯანდაცვის სისტემისა და სამედიცინო დაწესებულების დონეზე ხარისხის შეფასების ინდიკატორების სისტემის შემუშავება)
2.6.	Elaboration of adaptation methodology of protocols and guidelines acknowledged by EU and other developed countries	ევროკავშირსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში აღიარებული გაიდლაინების და პროტოკოლების ადაპტირების მეთოდოლოგიის შემუშავება
3.	Public health system development	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის განვითარება
3.1.	Creation of complex assessment tools for public health major risks and challenges and its adaptation	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი საფრთხეების კომპლექსური შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და ადაპტაცია
3.2.	Elaboration of mid-term programs in public health priority directions	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებებში საშუალოვადიანი პროგრამების შემუშავება
4.	On the basis of public private partnership creation of such coordinating mechanisms, which ensure health care system further development by full involvement of state, private, non-governmental and international organizations	საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე ისეთი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემის შემდგომ განვითარებას სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით
5.	Increasing the role of health information systems (including statistics) in regard of timely assessment of health related risks of population, evidence-based decision-making and timely planning of implementing activities	ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების (მათ შორის, სტატისტიკის) როლის გაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების დროული შეფასების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების დროული დაგეგმვისთვის
5.1.	Elaboration of mechanisms for health information system development and quality improvement of database	ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარების და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
Identification # 211333957 144 Ak. Tsereteli Ave, Tbilisi, 0119, Georgia	საიდენტიფიკაციო კოდი #211333957 ქ. თბილისი, 0119, ავ. წერეთლის გამზირი #144

State Treasury Code TRESGE22 ACC: 200122900	სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა 200122900
By: ხელმომწერი: _____	
Name: Mr. David Sergeenko	სახელი: დავით სერგეენკო
Title: Minister	თანამდებობა: მინისტრი
Date: 06.04.2015 თარიღი: _____	
GLOBAL ALLIANCE FOR HEALTH AND SOCIAL COMPACT	„Global Alliance for Health and Social Compact“
Company registration number 9196046 22 Billet Street, Taunton, Somerset, TA13N. Beneficiary: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. Acc. Number: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) Beneficiary Bank: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW Intermediary Bank: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X Receiver's Correspondent Bank: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33	კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 9196046 ინგლისი, TA13NG, სომერსეტი, ტონტონი, ბილეთის ქ. №22 მიმღები: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. ანგარიში ნომერი: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) მიმღები ბანკი: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW შუამავალი ბანკი: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X მიმღების საკორესპონდენციო ბანკი: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33
By: ხელმომწერი: _____	
Name: Dr. Jean Elie Charles Malkin	სახელი: ჟან ელი ჩარლზ მალკინი
Title: Authorized Representative	თანამდებობა: უფლებამოსილი წარმომადგენელი
Date: 06.04.2015 თარიღი: _____	